საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 115/ს
09/03/2023

115-21-4-202303091520

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, მდინარე თერგზე შპს „ლარსი ფაუერის“ 5,8 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ლარსი 2 ჰესის) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტისა და II დანართის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, მდინარე თერგზე შპს „ლარსი ფაუერის“ 5,2 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ლარსი 2 ჰესის) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N3;
2. შპს „ლარსი ფაუერი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N3 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,ლარსი ფაუერს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ლარსი ფაუერის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო